საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ

2025 წელი

26.08.2026
www.geostat.ge

26.08.2026

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ 2025 წელი

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2025 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 2 731 ეკონომიკური სუბიექტი[1], რომლებიც ფლობდნენ 2 783 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებას (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით). აღნიშნული მაჩვენებელი 4.5 პროცენტით მეტია 2024 წელთან შედარებით.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება ფუნქციონირებდა აჭარის ა/რ-სა (21.3 პროცენტი) და ქ. თბილისში (20.9 პროცენტი). დიაგრამა №1 ასახავს სასტუმროების რაოდენობის განაწილებას რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №1

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება რეგიონების მიხედვით 2025 წელს



[1]საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები.

სასტუმროს მომსახურებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა „ინდივიდუალური მეწარმე“, რომელიც შეადგენდა 2025 წელს მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო რაოდენობის 65.5 პროცენტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილებას ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

დიაგრამა №2

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 2025 წელს



სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების 99.8 პროცენტი კერძო საკუთრებაში იყო, ხოლო 0.2 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაში.

2025 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 3 964.6 ათას კვადრატულ მეტრს 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 9.8 პროცენტით მეტს შეადგენდა. უშუალოდ ნომრების საცხოვრებელი ფართი 1 761.0 ათასი კვადრატული მეტრი იყო რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8.9 პროცენტით მეტია.

2025 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 120.2 ათასი შეადგინა, რაც 6.0 პროცენტით მეტია 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ნომრების საერთო რაოდენობა 2025 წელს წინა წელთან შედარებით 6.1 პროცენტით გაიზარდა და 54.3 ათასი შეადგინა. დიაგრამა №3 ასახავს ნომრებისა და ადგილების რაოდენობის განაწილებას რეგიონების მიხედვით.

ცხრილი №1

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში არსებული ნომრების რაოდენობის განაწილება კატეგორიების მიხედვით 2024-2025 წლებში

ნომრების კატეგორიები	2024 წელი	2025 წელი
ლუქსი	3 852	3 918
ერთადგილიანი	5 214	4 927
ორადგილიანი	30 981	33 825
სამი და მეტი ადგილით	11 154	11 670
სულ	**51 201**	**54 340**

დიაგრამა №3

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში არსებული ნომრებისა და ადგილების საერთო რაოდენობის განაწილება რეგიონების მიხედვით 2025 წელს



26.08.2026

2025 წელს საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 6.2 მილიონ სტუმარს მოემსახურა, რაც 6.5 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სტუმართა 62.7 პროცენტს უცხოელები შეადგენდნენ და მათი უმეტესობა, 555.4 ათასი (სტუმრების ჯამური რაოდენობის 14.3 პროცენტი), ისრაელის მოქალაქე იყო, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.0 პროცენტით მეტია. ევროკავშირის მოქალაქეები უცხოელი სტუმრების მთლიანი რაოდენობის 10.4 პროცენტს შეადგენდნენ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2024-2025 წლებში სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილებას ქვეყნების მიხედვით.

დიაგრამა №4

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით 2024-2025 წლებში



26.08.2026

2025 წელს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებს უმეტესად სტუმრობდნენ დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით (92.0 პროცენტი).

ცხრილი №2

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში უცხოელი სტუმრების განაწილება ძირითადი მიზნის მიხედვით 2025 წელს, ათასი

ძირითადი მიზანი	რაოდენობა	%
დასვენება და რეკრეაცია	3 581.8	92.0
საქმიანი და პროფესიული	174.7	4.5
მკურნალობა	27.8	0.7
სხვა მიზანი	109.0	2.8
სულ	**3 893.3**	**100.0**

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით განთავსებული უცხოელი სტუმრების უმეტესობას ისრაელისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები წარმოადგენდნენ (შესაბამისად, 14.7 და 12.9 პროცენტი).

2025 წელს საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებული იყო 29 101 ადამიანი, რომელთა უმეტესობას (54.5 პროცენტს) ქალები წარმოადგენდნენ.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge